№ 127
პარასკევი, 27 ივნისი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
1	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
[illegible]	8	—	3	3	50
1	7	25	2	2	75
1	6	50	1	1	50

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

ივერია

№ 127
პარასკევი, 27 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის რედაქციისაგან

ვაუწყებთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარის წლის ფული აქვს შემოტანილი, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა მოუსპობათ, თუ არ წარმოადგინეს დანარჩენი ფულიც.

ამასთან ვაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთი მანეთი, ხოლო სხვა ყოველის ადრესის შეცვლისათვის-კი—ორი აბაზი.

მთავრობის განკარგულებანი

მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

§ 36. საზოგადოების საქმეთა მმართვა და მეთვალყურეობა გამგეობასა აქვს მინდობილი, რომელიც (აქა-და-აქ) იმყოფება და (ამდენის) წევრისაგან შესდგება; გამგეობის წევრებს საზოგადო კრება ირჩევს თავისს წევრთა შორის სამის წლის ვადით.

შენიშვნა. 1. გამგეობის წევრად შეიძლება არჩეულ იქმნას ის, ვისაც ერთი მთელი წილი მაინცა აქვს.

შენიშვნა 2. გამგეობის წევრთა რაოდენობა საზოგადო კრების სურვილზეა დამოკიდებული; აქ მნიშვნელობა აქვს თვით საზოგადოების სავაჭრო სამრეწველო ოპერაციებსაც (შეიძლება თითოეულის სავაჭრო და სამრეწველო დარგისათვის ცალკე წევრი აირჩიონ).

შენიშვნა 3. საზოგადოების ის წევრნი, რომელთაც საზოგადოებისათვის საქონელი მოაქვთ, ან ერთი და იგივე სავაჭრო აქვთ და საზოგადოებაში ნოქრებად არიან, გამგეობის წევრად არჩევის უფლება არა აქვთ.

§ 37. თუ რომ გამგეობის წევრი დიდის ხნობით დათხოვება სადმე, ავად იქმნება, მოკვდება, ან ვადის გასვლამდე გამგეობას თავს დაანებებს, მაშინ მის მაგიერობას კანდიდატი ეწევა, რომელსაც ადრევე ირჩევს საზოგადო კრება თანახმად გამგეობის წევრთა რაოდენობისა; გამგეობის წევრთა კანდიდატებს, რაც-კი ხანს გამგეობის წევრებად არიან, ყველა ის უფლება და უპირატესობა აქვთ მინიჭებული, რაც ნამდვილს წევრებს.

§ 38. გამგეობის წევრთა და მათის კანდიდატების არჩევის დღიდგან ერთის წლის გასვლის შემდეგ საზოგადო კრების-მიერ განსაზღვრულმა რიცხვმა წევრთა და კანდიდატებისამ პირველს წელიწადს წილის ყრით, ხოლო შემდეგ უფროსობით, თანამდებობას თავი უნდა დაანებონ ხოლმე და მაგიერად ახალი გამგეობის წევრები და კანდიდატები იქმნენ ამორჩეულნი.

შენიშვნა. თუ რომ მოისურვებენ, გამგეობიდგან გამოსულთ წევრებსა და კანდიდატებს უფლება აქვთ კვლავ იქმნენ ამორჩეულნი.

§ 39. კანდიდატი, რომელსაც გამგეობის წევრის ადგილი უჭირავს გამგეობაში, მხოლოდ დანიშნულ ვადამდე უნდა დარჩეს, ე. ი. იმ ვადამდე, სადამდეც ნამდვილი წევრი იყო ამორჩეული, და შემდეგ-კი თავი უნდა დაანებოს.

§ 40. გამგეობის წევრნი საზოგადო კრების შემდეგ ყოველ წლივ ირჩევენ თავმჯდომარეს თავის წევრთა შორის, აგრეთვე ირჩევენ თავმჯდომარის მოადგილეს, ხაზინადარსა და მდივანს.

შენიშვნა. ხაზინადრისა და მდივნის თანამდებობა შეიძლება ერთსა და იმავე წევრს დაევალოს.

§ 41. გამგეობის წევრთ საზოგადოების საქმეთა მმართველობისათვის შეუძლიანთ სასყიდელიც მიიღონ,—ან გადაჭრილი ჯამაგირი დაენიშნოთ, ან-და საზოგადოების მოგებიდგან მიეცეთ ის წილი, რომელსაც საზოგადო კრება დაუნიშნავს.

§ 42. საზოგადოების ყოველს საქმესა და აგრეთვე თანხას გამგეობა განაგებს. მისს მოვალეობას შეადგენს:

ა) მიიღოს, მისცეს და შეინახოს საზოგადოების თანხა და აგრეთვე სარგებლიანი ქაღალდები იმ წესითა და რიგით, რომელსაც საზოგადო კრება უჩვენებს.

ბ) აწარმოვოს ყოველივე ანგარიში და, თანახმად 51—53 §§-სა, წლიური ანგარიში, ბალანსი, ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმა შეადგინოს.

გ) საზოგადოების სამსახურისთვის კაცები მოიწვიოს, საქმე და ჯამაგირი დაუნიშნოს და აგრეთვე დაითხოვოს.

დ) იყიდოს, გაჰყიდოს, სხვა და-სხვა სახმარებელი და საოჯახო საგნები შეინახოს და თვალყური ადევნოს, რომ ყოველივე სავაჭრო კარგის თვისებისა იყოს.

ე) გაიგოს საქონლის თვისება, რომელიც საჭიროა ადრევე დამზადებულ იქმნას, და მისს შესაძენად საშუალება მოსძებნოს (ნაღდ ფულად თუ ნისიად შეიძინოს).

ვ) საზოგადოებას ახალ-ახალი წარმოება მოუპოვოს და განაგოს, ჰმართოს იგი.

ზ) გამოსძებნოს საშუალებანი, რომ საოჯახო და სხვა-და-სხვა სახმარებელი საგანი უკეთესის თვისებისა და უფრო იაფად იყიდებოდეს.

ჱ) საწყობები, სახლები და სხ. რაც-კი საზოგადოების ოპერაციებისათვის საჭიროა დაიქირაოს.

თ) საზოგადოების ქონება დააზღვევოს.

ი) აძლიოს და მიიღოს გასანაღდებელი თამასუქები და სხვა ამგვარი სავალო ვალდებულებანი იმ ზომითა და წესით, რომელიც საზოგადო კრებისაგან არის დადგენილი.

კ) საზოგადოების სახელით პირობით შეკრას, რომ საზოგადოებას საჭირო საქონელი მოუვიდეს.

ლ) აძლიოს რწმუნების ქაღალდები იმათ, ვისაც საზოგადოების სამსახურში ჩარიცხავს გამგეობა,—აგრეთვე იმათაც, ვისაც თითონ საზოგადო კრება მიიღებს.

მ) კანონიერი აქტი შეადგინოს, როდესაც უძრავს საკუთრებას ან იძენს და ან ჰყიდის.

ნ) საზოგადოების ახალი წევრები მიიღოს.

ო) საზოგადო კრება მოიწვიოს ხოლმე; საზოგადოების ყოველსავე საქმეს, რომელიც-კი საზოგადო კრების დადგენილებით საზოგადოებას შეეხება, გამგეობა ჰმართავს და განაგებს.

მახლობელი წესი და რიგი საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა, მისნი უფლებანი და მოვალეობანი აღინიშნებიან ინსტრუქციებში, რომლებსაც დრო-გამოშვებით წევრთა საზოგადო კრება დაამტკიცებს და შესცვლის.

§ 43. გამგეობა ეწევა ყოველ-გვარს ხარჯს იმ ხარჯთ-აღრიცხვიდგან, რომელსაც საზოგადო კრება ამტკიცებს ყოველ წლივ. საზოგადო კრებას ეძლევა უფლება აღნიშნოს აგრეთვე ის თანხა, რომელიც საჭიროების დროს გამგეობას შეუძლიან მოიხმაროს, გარეშე ხარჯთ-აღრიცხვისა; ყოველივე ასეთი ხარჯი მახლობელს საზოგადო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად.

§ 44. გამგეობა იმის ცდაში უნდა იყოს, რომ საალებ-მიცემო თანხა მუდამ ხმარებაში იყოს; ამ აზრით, გამგეობის წევრნი მუდამ თვალს ადევნებენ ვაჭრობასა და თუ რომელიმე საქონელი არა აქვთ და მოთხოვნილება-კი არის, მაშინვე თავისუფალს საალებ-მიცემო თანხას ამ საგნის შეძენას ახმარებენ; ხოლო თუ იმ ხანად, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, აღნიშნულის საქონლის სყიდვა სარგებლობას არ მოუტანს საზოგადოებას, მაშინ თავისუფალი თანხა ან სარგებლიან ქაღალდებად უნდა იქმნას გადაცვლილი და ან, საზოგადო კრების სურვილისა თანახმად, რომელსამე ადგილობრივს საკრედიტო დაწესებულებაში იქმნას შეტანილი მიმდინარე ანგარიშით.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი

—

⁂ ხუთშაბათს, 26 ივნისს, კრება ჰქონდა ტფილისის საქალაქო საქმეთა საკრებულოს, რომელზედაც დაესწრნენ: გუბერნატორი თავ. შერვაშიძე, ვიცე-გუბერნატორი სტეფანოვიჩი, ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი ა. ი. ივანოვი, სახაზინო პალატის მმართველი ი. ვ. ვერეტენიკოვი, ქალაქის თავის ალმასრულებელი ა. ა. ივანენკო და

ფელეტონი

—

თევზის მრეწველობა მდ. მტკვარზედ.

(დასასრული *)

უმთავრეს და უპირველეს თევზის სამრეწველოდ მტკვარზედ ამ ჟამად ითვლება ბანკი, რომელიც ეკუთვნის ფითოევს და ამხანაგობას. ამ გვარი მნიშვნელობა წინად ბოჟი-პრომისლის სამრეწველოსა ჰქონდა: აქ იყო გახურებული თევზის წარმოება, მთელი ხალხი—მუშა თუ მოსამსახურე—აქა სცხოვრობდა, აქვე სცხოვრობდა ამხანაგობის მოურავი, აქ იყო კანტორა, პლოტი, ხალხისათვის სადგურები და სხვ. ყოველ გვარი საჭირო შენობები; აქ იყო და კიდეც არის ეკკლესია, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა და სხვ. ერთის სიტყვით, ბოჟი-პრომისლი წარმოადგენდა პატარა ქალაქს. მაგრამ 1891 წლიდგან სხვანაირად დატრიალდა ამ სამრეწველოს ბედ-იღბალი. ამ წლიდგან 1894 წლამდე ბოჟი-პრომისლი ლიანოზოვსა და ფრიდონოვს დარჩათ, ფითოევის ამხანაგობას-კი—ბანკი. რასაკვირველია, ამ უკანასკნელს (ფითოევის ამხანაგობას) ხელ-ახლად უნდა აეშენებინა ბანკში ყოველ გვარი საჭირო შენობები—სამოურავო სახლი, მუშა ხალხისთვის სადგურები, აქვე უნდა ჰყოლოდა მუშა ხალხი და სხვ. თუმცა 1894 წლიდგან ბოჟი-პრომისლი და ბანკი ისევ ფითოევს დარჩა, მაგრამ უმთავრეს სამრეწველოდ მაინც კიდევ ბანკი დასტოვა. რადგანაც ხელ-მეორედ ბანკიდგან აყრა და ბოჟში გადმოლაგება ხარჯს მოითხოვდა. ამ გვარად, ბოჟი-პრომისლი, როგორც უმთავრესი თევზის სამრეწველო, 1891 წლიდგან დაეცა, დაჰკარგა თვისი წინანდელი მნიშვნელობა და ამის ნაცვლად, თევზის მრეწველობის ასპარეზზედ გამოვიდა ბანკი, რომელიც მდებარეობს მტკვრის მარცხენა კიდეზედ, ბოჟი პრომისლიდგან 12 ვერსის მანძილზედ. ბოჟში ამ ჟამად დარჩენილია მხოლოდ სამოურავო სახლი და სხვ. რამდენიმე ძველი შენობა. აქვეა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა და ძველი ხის ეკკლესია, აშენებული 1838 წ. აქა სცხოვრობენ: ეკკლესიის კრებული, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი, ბოქაული, თევზის მრეწველობის პოლიციის მოხელენი და რამდენიმე მუშა კაცი თევზის საჭერად.

მთელი ბანკის რაიონი დანაწილებულია რამდენსამე პატარ პატარა თევზის საჭერ ადგილად. თითოეულს ადგილზედ თითო ნოქარია ყურისაგდებლად და ოთხი წყობა მუშათა-მებადურეებისა, რომლებიც იჭერენ თევზს. თითოეული წყობა შეიცავს 8 კაცს. თევზის საჭერი ბადე იმ სიგრძე უნდა იყოს, რომ თითო კაცზედ 20 საჟენი მოდიოდეს. მაგალითად, რვა კაცის ბადე 160 საჟენი უნდა იყოს (20×8). თუ ბადე გრძელია, მაშინ მუშა ხელი მოემატება, მხოლოდ 20 საჟენზედ თითო კაცზე მეტი არ შეიძლება კანონით. ეს მებადურეთა წყობანი ჯერ-ჯერობით ჰმუშაობენ. თევზის საჭერად ჰხმარობენ: ჩანგლებს, სათრეველს-ბადეს და ისე ბადეს. უკანასკნელი პირველს ბადეზედ მომცროა. ამაზედ მუშაობს 2 კაცი, ხოლო პირველზედ 8 კაცი. წინად, როდესაც მთელი მტკვარი ერთს კაცს ეძლეოდა იჯარით, მტკვრის გადაღობა ერთის ნაპირიდგან მეორემდე და ამ გვარად თევზის დაჭერა აღკრძალული არ იყო. ეხლა-კი კანონი თევზის მრეწველობისა ამას სასტიკად უკრძალავს, რადგანაც მოწინავე მეიჯარადრეებმა რომ მტკვარი გადაღობონ (забойка), თევზი ზევით ველარ წავა და შემდეგი მეიჯარადრეები პირ-ცალიერები დარჩებიან. ბადესა ხვდება: ზუთხი, თართი, თართი-ზუთხა, ორაგული, ლოქო, ჭანარი, მურწა, შამაია, ფარგა თევზი, ხაშამი, კუტუმი და სხ. ყველა თევზის-საჭერ ადგილიდგან თევზს აგროვებენ ბანკში პატარ-პატარა ორთქლით მავალ გემებით.

ბანკში მკვიდრი მცხოვრები არავინაა. ყველანი მოსულები არიან სხვა-და-სხვა მხრიდგან და ყველას სხვა-და-სხვა სამსახური და მოვალეობა აწევს კისერზედ. შრომის ხასიათისა და გვარად აქ მცხოვრები ხალხი შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად ანუ ნაწილად. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: მოურავი ანუ გამგე სამრეწველოსი და მისნი თანაშემწენი, ბუხჰალტერი, ამისი თანაშემწენი, პლოტოვოი, ექიმი, ფერშალი და სხვა-და-სხვა ნოქრები, მხოლოდ მეორე ჯგუფს შეადგენენ უბრალო მუშები: მებადურეები ანუ ბადის გამომთრეველნი, რომელნიც წყალში სდგანან და ეწევიან ბადეს, დურგლები, მეკოდეები, მჭედლები, თევზის მჭრელები და სხ. ეროვნებით განიყოფებიან სამად: სომხები, რუსები და თათრები, ხოლო სარწმუნოებით: მართლ-მადიდებლები, გრიგორიანები და მაჰმადიანები. პირველ ჯგუფის მოსამსახურენი სულ სომხები არიან; მეკოდეები და დურგლები—რუსები, ხოლო მებადურეები და თევზის მჭრელები—თათრები. ყველას სხვა-და-სხვა ჯამაგირი აქვთ. მაგალითად, მებადურეები თვეში იღებენ დაახლოვებით 6—7 მან., მეკოდეები წელიწადში 150—180 მან. ამასთანავე ეძლევათ ხორაგეულობა: ხორცი, პური და სხვ., რასაკვირველია, ყველას სხვა-და-სხვა ზომისა. თევზი-ხიზილალა აღკრძალულია, ამითი იხსნილებენ მარტო სააღდგომოდ და საშობაოდ.

ბანკში შემდეგი შენობებია დამართული: სამ-სართულიანი სამოურავო სახლი; ძირითა სართულში კანტორაა მოთავსებული, მეორეში სცხოვრობს თვით მოურავი, მხოლოდ მესამე სართული დანიშნულია სტუმართათვის. აქვე სცხოვრობენ ოზ-

---

*) იხილეთ „ივერია“ № 125.

იხ, „ივერია“, № 126.

ხმოსანი გ. გ. ევანგულოვი. კრებამ, განიხილა რა საჩივრები ქალაქის ახალ ხმოსანთა არჩევანის უკანონობის შესახებ, არ შეიწყნარა და დაამტკიცა წარსული ქალაქის ხმოსანთა არჩევანები.

⁂ ამ ბოლოს დროს რუსეთსა და კახეთში აღმოჩენილის ახალის ვაზის ავადმყოფობის—„ბლეკ-როტის“ შესახებ რუსულს ენაზედ ისე ვრცლად არაფერია დაბეჭდილი, როგორც ფრანგულზედ. ამისათვის კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას განუზრახავს ბროშურა ფრანგულს ენაზედ: „Manuel pratique pour le traitement du bleck-rot“ paz Zauergne et Marre, რუსულად სთარგმნოს და თავის ჟურნალში დაჰბეჭდოს.

კარგი იქნებოდა, ეს თარგმანი იმავე დროს ქართულადაც გადაითარგმნოს და ცალკე წიგნად გამოიცეს, რომ კახეთის მემამულეთა შორის გავრცელდეს.

⁂ 26 ივნისს 1897 წ. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნული იყო გასასყიდად ბათუმისა, ფოთისა, ქუთაისისა და სხვა ქალაქების მამულები სულ 17, ხოლო რადგან ზოგიერთ მამულების ხვედრი გარდასახადი შემოტანილ იქმნა ამავე დღეს, გასასყიდად დარჩა მხოლოდ 14 მამული, აქედგან გაიყიდა 10 მამული და დარჩა ხელმეორე ვაჭრობით გასასყიდად, 14 ივლისისათვის, 4 მამული.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობა უკვე დიდს სამზადისშია თურმე გზათა მინისტრის ხილკოვის მოლოდინისა გამო, რომელიც მალე ჩამოვა კავკასიაში.

⁂ 28 ივნისს, საღამოს 7 საათზე, სახალხო საკითხავების შენობაში (ავჭალის ქუჩა) შესდგება ტფილისის ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქმნებიან კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრნი. კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ არა წევრნიც.

⁂ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმერი ამ დღეებში წაბრძანდება საზაფხულოდ მარტყოფის წმ. ანტონის მონასტერში.

⁂ ქალაქის საბჭოს ექიმები უკვე შეუდგნენ ტფილისის სხვა-და სხვა ფაბრიკისა და ქარხნის გასინჯვა-დათვალიერებას.

⁂ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ნება დაურთავს სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახის მცხოვრებლის კნ. ე. ი. აბხაზისათვის, რომ მან სოფ. კარდანახში სახალხო წიგნთ-საცავი დააარსოს.

⁂ ამ ცოტახანს ამიერ-კავკასიაში ჩამოვა საიმპერატორო ბოტანიკურის ბაღის დირექტორი ბ-ნი ფიშერ-ფონვალდჰეიმი სოჭისა და ბათუმის სამაგალითო სადგურებისა და ტფილისის საბოტანიკო ბაღის დასათვალიერებლად. ბ-ნი ვალდჰეიმი დაათვალიერებს აგრეთვე ქ. ბათუმის მიდამოებს.

⁂ მთავრობას აზრადა აქვს თურმე ჩრდილოეთ-კავკასიაში კადეტთა კორპუსი დააარსოს. ამ აზრით ქ. ეკატირინოდარში შეჰკითხებიან კიდეც, ხომ არ არის ქალაქში თავისუფალი შენობა კადეტთა კორპუსის დროებით მოსათავსებლადაო. კორპუსში 300—400 მოსწავლე იქმნება. ამ ჟამად კავკასიაში, ტფილისს გარდა, კადეტთა კორპუსი არსად არის.

⁂ „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ ნუხიდგან, რომ ნუხის მაზრაში მოუკლავთ ცნობილი ყაჩაღი აბდულ-ქიარიმ-ბექი ქიარიმი. მოუკლავს კალაჯუკის მამასახლისს და ერთი სხვა ყაჩაღიც შეუპყრია. დანარჩენთაც დაეძებენ.

⁂ მთავრობას გადაუდვია 7,791 მანეთი ტფილისის სამეტეოროლოგიო ობსერვატორიის შენობის შესაკეთებლადა და გასადიდებლად.

⁂ ამ ზაფხულს უნდა დამთავრდეს ყოველ გვარი გამოკვლევა და შედგენილ იქმნას პროექტი შესახებ სოხუმის ნავთ-სადგურის შეკეთებისა. ამ საქმის გამოკვლევა ჩაბარებული აქვს ინჟენერს რუმელის („С.-П. В.“)

⁂ 1898 წლის პირველ იანვრიდგან ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან არსდება უფროსის ნოტარიუსის თანაშემწის ახალი თანამდებობა.

⁂ ბორჯომის მამულების გამგეობა 1888 წლიდგან მოწადინებულია ბორჯომში წყალი გამოიყვანოს, მაგრამ აქამომდე ვერ განახორციელა თავისი სურვილი. უკვე რამდენიმე პროექტი იყო შედგენილი ამ საგნის შესახებ, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა. ამიტომ გამგეობამ ამ რამდენისამე ხნის წინად ხელახლა დაავალა სამხედრო ინჟინერს შილეიკოს გამოიკვლიოს მან, საიდგან შეიძლება წყლის გამოყვანა და რამდენი დაჯდება იგი. ბ-ნმა შილეიკომ უკვე შეადგინა ვრცელი მოხსენება და წარუდგინა კიდეც გამგეობას. შილეიკოს აზრით, წყლის გამოყვანა დაჯდება სულ 130,000 მანეთი და დღე-ღამეში 80,000 ვედროს მისცემს ბორჯომს.

⁂ კახეთი. კახეთის საფილოქსერო დასმა მაისის განმავლობაში და წვრილებით გამოიკვლია ყველა ის ვენახები, რომელშიაც ვაზის ახალი ავადმყოფობა ბლეკროტი იყო და იმის წამლობას შეუდგა. ჯერ-ჯერობით 25 დესეტინა ვენახს უწამლა, მათ შორის მუკუზანის მახლობლად 9,5 დეს. და წინანდლისა და ნაფარეულის—5 დეს. საერთოდ-კი, ვენახებს წელს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანთ იმათ გარდა, რასაკვირველია, რომელნიც სეტყვისაგან იქმნენ დაზარალებულნი. ვენახის წამლობა თანდათან ვრცელდება კახეთში: წელს მაგალითად, ნაწამლი ვენახი თითქმის 90% შეადგენს.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

დ. სამტრედია. (ქუთაისის მაზრა). ჩვენი თვალ-საჩინო დაბა სამტრედია გაშენებული არის რკინის გზის სადგურის მარჯვნივ და მარცხნივ ნაპირას; მას თავისი აღებ-მიცემობითა და მოძრაობით სხვა ქუთაისის მაზრის დაბათა შორის პირველი ადგილი უჭირავს. ეს არის ისეთი ადგილი, სადაც ბაქო-ტფილისის, ფოთ-ბათუმის და ქუთაისის მატარებლები თავს იყრიან. დიდი ხანი არის, რაც სამტრედია დაბად ითვლება, მაგრამ დღემდის კიდევ ჯერ ბევრი აკლია დაბობამდე. ერთის კვირის განმავლობაში რომ დაბას თვალი ადევნოს კაცმა, უსათუოდ დარწმუნდება, რომ იგი მოკლებულია ყოველგვარ სისუფთავეს; ქუჩები ავდრიანს დღეში მეტად ტალახიანია; ადვილი შესაკეთებელია ქუჩები, მით უმეტეს რომ, რიონი ახლოს ახლავს და ქვიშა გვემოკვება. მედუქნეებში აქ არავითარი ნიხრი არ არსებობს; ხორაგეულობას, როგორც ჰსურთ, ისე გაჰყიდიან; შაქარი ქუთაისში, რომ 15 კაპ. ჰღირდა, აქ 16 კაპ. იყიდებოდა; რად უნდა ჰღირდეს აქ მეტად, როდესაც ჩვენი დაბა ბათუმზედ უფრო ახლო არის და შაქარი ხომ რუსეთიდგან ჯერ ბათუმში ჩამოვა? ასე ძვირად ისყიდება ხორციცა და პურიც. დღემდე კვირა უქმე დღე დუქნები არ იკეტებოდა და ხალხი წირვა-ლოცვას მოკლებულნი იყო, დღეს კი, როგორც იყო მოვაჭრეებს შეადგენინა განაჩენი ბოქაულმა და ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მღვდელმა, რომ კვირა უქმე დღე შუადღემდე არ გააღონ დუქნები, მაგრამ ამ წესს არც დღეს ასრულებს რიგიანად არც ერთი მოვაჭრე; ხშირად დუქნებში წირვა-ლოცვის დროს არღანი ჰკრავს. ურიებს არსად არ აქვთ ნება რომ შუადღემდის რაიმე შემოსული ხორაგი იყიდონ, ჩვენს დაბაში-კი თამამად დათარეშობენ. ბაზარში რომ ვერას ახერხებენ, გასცილდებიან დაბას ერთის ვერსის სიშორეზედ, იქა უხვდებიან ხორაგეულობას და ყიდულობენ ჩუმად, ჩვენ-კი დაბაში მცხოვრებლები პირ-ამყავებული ვრჩებით. საჭიროა, რომ ვისგანაც ჯერ არს, ამას მიაქციოს ყურადღება.

ზაფხულის დღეს აქ სულის მოთქმა სჭირს. ან სად უნდა წავიდეს კაცი! უბრალო ბაღი არა გვაქვს, რომ ხანდახან გავიაროთ და წმინდა ჰაერი ჩავისუნთქოთ; თუ დაჯდება კაცი დუქნებში სადმე, ბუზი შესჭამს და სული შეუწუხდება, ქუჩებში გასვლა და სიარული ხომ შეუძლებელია მტვერისა და სიცხისა გამო. თუ ვინმეს საქმე აქვს დაბაში, დილით ადრე ან საღამოს უნდა მივიდეს და მაშინვე უნდა გაბრუნდეს, თორემ აქ გაჩერება ხომ არ ეხერხება. ნუ თუ აქაურებმა რომ მოვინდომოთ, როგორც დაბა ხონში აქვთ მშვენიერი ბაღი, ჩვენც ვერ გავაკეთებთ?

რკინის გზის სადგურიც მოკლებულია ჯეროვან წეს-წყობილებას: ღამით მოგზაური აქ მეტად შეწუხებულია, რადგან სკამს ვერსად ჰნახავს, რომ ჩამოჯდეს და მუხლებს შეუსვენოს. კარგი იქნება სადგურის უფროსმა ამას ყურადღება მიაქციოს.

ვლადო ბზვანელი

◆

მაჩხაანის მეორე კლასიანის საეკკლესიო სამრევლო სკოლის სვე-ბედი. *)

ვინ იცის, იქმნება კიდეც გაემარჯვნა ნასომხარში სკოლის აგების აზრს, რომ ერთ წევრთაგანს არ წარმოედგინა ისტორიული ცნობა, რომ ნასომხარის საშინელსა და მაზნევარს ჰავას ამოუწყვეტია მთელი, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული სოფელი, ასე რომ ნიშნად ნასოფლარისა დღეს დაშთენილა აქ მხოლოდ ერთად-ერთი-ღა სომხის ეკკლესია.

არა ნაკლებ საოცარია მეორე სუ-

---

*) იხ. „ივერია“ № 126.

გიერთი ამორჩეულნი მოსამსახურენი; აფთიაქი, საავადმყოფო, მუშა ხალხისათვის საცხოვრებლად ყაზარმები — ერთნაირი გძელი შენობები მიწურის იატაკით; შიგნით ირგვლივ მიდგმულია კედლებზედ ტახტები და დანაწილებული სხვა-და-სხვა მუშა ხალხისათვის. თითოეულს ყაზარმაში იქნება დაახლოებით 50—60 სული მდგმური. აქვეა დამართული ღუმელები საჭმლის მოსახარშად და სასადილო გძელი მაგიდები. ზაფხულში კიდევ არაფერი, კარებები და ფანჯრები იღება ჰაერის გასაწმენდად, მაგრამ ზამთარში-კი საშინელი მყრალი სუნი ტრიალებს შიგ. ამას წინად აქ მოვიდა სალიანიდგან სასანიტარო ექიმი სამრეწველოების დასათვალიერებლად, რომლის წინადადებით სამზარეულოები მუშათათვის ცალკე იქმნა დამართული. ეს გარემოება ცოტა არ იყოს ხელს შეუწყობს ჰაერის გაწმენდას ყაზარმებში, თორემ იმოდენა ხალხის ცხოვრება ერთს შენობაში, იქვე საჭმელების ხარშვა, ბავშვების უსუფთაობა და იქვე პურის-ჭამა ძნელიც არის და მავნებელიც ჯანმრთელობისათვის. წისქვილი, სამჭედლო, საკოდე, სადაც კოდებს აკეთებენ, თევზის გასამშრალებელი ეზო, სადაც ბოძებზედ ხარიხებია გადებული და ზედ თევზსა ჰკიდებენ გასამშრალებლად, საყასბო, მასალის ბეღელი, სადაც შენახული აქვთ სხვა-და-სხვა თევზის მრეწველობისათვის საჭირო მასალა, გომური, დუქანი, აბანო, ეგრედ წოდებული „პლოტი“ და სხ.

პლოტი წარმოადგენს მტკვრის კიდეზედ გაკეთებულს სიმაგრეს აივანის მსგავსად, რომლის წინა მხარე წყალზედა სდგას ბოძებით, ასე რომ გემები და ნავები ადვილად მოადგებიან ხოლმე. სწორედ ამ ადგილზედ (პლოტზედ) გროვდება ყველა თევზის საჭერ ადგილებიდგან თევზი, აქვე სჭრიან და აქვე ამარილებენ. ამისათვის ჰხმარობენ შემდეგ ჭურჭელს და იარაღს: 1) დიდრონი კოდები, მიწაში ჩადგმული, თევზის დასამარილებლად; 2) ჩვენებური ყურძნის საწურ ნავების მაგვარი ნავები თევზის დასამარილებლად და გასარეცხად; 3) თევზის გასაგზავნი კოდები; 4) ქვაბი მარილ-წყლის გასაკეთებლად: 5) ხიზილალის გასასუფთავებელი და მარილ-წყლიდგან ამოსაღები ცხრილები; 6) მარილ-წყლიან ხიზილალის გასაწური მანქანა; 7) ახალის ხიზილალის ჩასაყრელი კოდი, რომელშიც ჩაყენებულია წინადვე მომზადებული მარილ წყალი; 8) გაკეთებულ ხიზილალის შესანახი და გასაგზავნი კოდები; 9) თევზის საჭრელი დანები და სხ. აქ—„პლოტზედ“—მამაკაცებთან ერთად დედაკაცებიც იღებენ მონაწილეობას მუშაობაში: თევზს ჰრეცხენ, ასუფთავებენ, მარილ-წყლიდგან ამოღებულს ხიზილალას სწურავენ, მარილ-წყალში ჰყრიან ხიზილალას და ურევენ და სხ. იმათი მუშაობა მხიარულად მიმდინარეობს მწყობრ სიმღერასა და ჟივილ-ხივილში. ამით თავიანთ თავსაც ამხნევებენ და სხვასაც. მუშაობაში მოკლე კაბები აცვიათ—მუხლამდის. მუშა დედაკაცებიც, რასაკვირველია, თავიანთს შესაფერს ფასს იღებენ.

საზოგადოდ სამუშაო დღე ამგვარად არის განწესრიგებული: ზაფხულში მუშაობენ დილის 5 საათიდგან 12 საათამდე და შუადღის შემდეგ ორ საათიდგან საღამოს 7 საათამდე. ზამთარში: დილის 7 საათიდგან 12 საათამდე და შუადღის შემდეგ 1 საათიდგან საღამოს 5 საათამდე. სამუშაო წელიწადი იწყება ივლისში და თავდება მაისში. მაისში ყველა მუშებს და მოსამსახურეებს უსწორდებიან, ვისაც რა ერგება წლის ჯამაგირიდგან, იღებს და მიდის, თუ აღარ უნდა აქ სამსახური და მუშაობა, და თუ უნდა, რჩება ან კიდევ მიდის დროებით და ისევ ბრუნდება თავისს დროზე. მაისში და ივნისში სამუშაო აქ იმდენი არა არის-რა, რადგანაც ამ თვეებში შეყენებულია თევზის ჭერა თევზის მრეწველობის კანონით, პირველ ივლისიგან-კი ისევ იწყება. მომეტებულ ნაწილად ერთის წლის შემდეგ სრულიად ანებებენ ხოლმე თავს აქაურობას მუშები—რუსები. რადგანაც, გარდა იმისა, რომ ვერ აუტანიათ აქაური ჰავა, ხშირად ავადმყოფობენ და იხოცებიან, ცხოვრების სხვა პირობებითაც არ არიან კმაყოფილნი, როგორც თითონვე ამბობენ. 1896 წელს მოხდა აქ მუშათა გაფიცვა, რომელმაც თითქმის რამდენისამე ხნით შეაჩერა ჩვეულებრივი მიმდინარეობა საქმისა. მოწვეულ იქმნენ სალიანიდგან მაზრის უფროსი, მსაჯული და სხ. საქმის განსახილველად და მუშათა დასამშვიდებლად, მაგრამ არა იქმნა-რა. 50—60 მუშა ხელმა უარი განაცხადეს მუშაობაზედ და წავიდნენ თავიანთ სამშობლოში. ამგვარი ამბოხება, როგორც გამიგია, მომხდარა 1894 წელსაც, როდესაც კარგა ბლომა კალმიკებსა და რუსებს ერთბაშად აუღიათ ხელი მუშაობაზედ და წასულან თავიანთს სამშობლოში.

აქვე მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა განვუზიაროთ მკითხველს ზღვის სამრეწველოების შესახებ. მდ. მტკვრის შესართავიდგან დაწყებული კასპიის ზღვის პირად გამწკრივებულია შემდეგი სათევზო სამრეწველოები, ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ: ნარდოსტოვი, ზუდოსტოვი, სარაკამიში, საროკინსკაია პრორვა, გულინსკაია პრორვა, ჟაროვსკაია, კურინსკაია. აქ თევზის-ჭერა იმ წესით არა სწარმოებს, როგორც მტკვარზედ. იჯარით ეძლევათ სათევზო ადგილები კერძო კაცებს, მხოლოდ ზღვის თევზის-მწარმოებელნი ბილეთებსა ჰყიდულობენ თევზის მრეწველობის სამმართველოდგან და ამ ბილეთის ძალით იჭერენ თევზს. ვისაც ამგვარი ბილეთი არა აქვს, იმას არც უფლება აქვს თევზის ჭერისა ზღვაზედ. როდესაც აქ მეთევზეები ცოტანი იყვნენ, თავისუფლად იჭერდნენ თევზს, სადაც უნდოდათ, რადგანაც კარგი ადგილები—სადაც თევზი ბლომათაა—ყველას ჰყოფნიდა, ბილეთი კი თევზის-ჭერის უფლებისა უეჭველად უნდა ჰქონოდათ. შემდეგ, როდესაც ზღვაზე მეთევზეები გამრავლდნენ და კარგი ადგილები ყველას აღარ ჰყოფნიდა, დააწესეს კენჭის-ყრა, ვისაც რომელი ად-

ლიერის მამის რჩევა. ამან წარმოადგინა საუკეთესო ადგილად სკოლისათვის თავის სოფელში, ხევის პირზედ მდებარე ადგილი, სახელად ფანიანის ხევი. ამ ადგილის ერთ დიდ ღირსებად დასახელებულ იყო ის, რომ აქა სდგას 21 კაკლის ხე, 10 კომშისა, 40 ქლიავისა, 40 თუთისა და 2 ვაშლისა. აი რა თვალთა-ისარით ჰსინჯავენ, ბატონებო, ჩვენში, სკოლის ავ-კარგ მდგომარეობას! ბევრს ეცადნენ ზოგიერთნი წევრნი რჩევისანი დაემტკიცებინათ უვარგისობა სკოლისათვის ამ ადგილის, როგორც სრულიად შეუფერებელისა და საზნევარისა, მაგრამ ვერაფრით ვერ დააჯერეს ამ საქმის მოთავენი. —ერთმა იმათგანმა ისიც-კი გამოაცხადა, რომ „ზენარათ აქვს ვითომც ჩაგონებული ამ ადგილის სკოლისათვის მოპოვება და შესყიდვა“. ძალიან კარგი, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ადგილას სკოლის აშენება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც იგი არის სადაო ადგილი სახელმწიფო ქონების უწყებისა და კერძო კაცთა შორის. სადაო მამულზედ-კი სკოლის აშენების ნებას არასოდეს არ მისცემს უწმიდესი სინოდი, როგორც ვიცით. ეს უკანასკნელი მამული არ აღემატება ზომით 3 დესეტინას. აქედგან $1\frac{1}{2}$ დესეტინა ეკუთვნის კეთილშობილთა და ჯალიაშვილებს, ხოლო მეორე— $1\frac{1}{2}$ დესეტინა სახაზინო გლეხთ: დიმიტრის, ნიკოლოოზს, გაბრიელს, იაკობს, სიმონს, მაქსის და სხვ. რომელთაც არ ისურვეს მუქთად დათმობა და დიდის თხოვნის შემდეგ დასთანხმდნენ დაუთმონ 400 მანათად. სყიდვა გლეხებისაგან ამ მამულისა წარმოუდგენელია, რადგანაც გლეხს მიწა არ ეკუთვნის და შეუძლიან გაყიდვა მხოლოდ თავისის ნამოქმედარისა. კეთილ-შობილთაც ჯერ ჯერობით არ შეუძლიანთ ამ ადგილის სკოლისათვის დათმობა, რადგანაც ხაზინა ედავებათ. ამნაირად ეს საქმე უეჭველად ჯერ უნდა სამართალში გაარჩიოს და შემდეგ მოიპოვოს სკოლამ იმისგან, ვინც მესაკუთრეთ გამოჩნდება. ეს-კი დასრულდება არა ადრე 8—10 წლისა, მით უფრო, რომ გამმიჯვნელ კომმისიას აქ მოელიან მერმისს. 2) 400 მანათი, რომელიც აღუთქვა რჩევამ გლეხებს $1\frac{1}{2}$ დესეტინა მამულის საფასად, ჯერ ტყუილად წყალში გადაყრილი ფულია, რადგანაც გლეხებს არავითარი მიწის საკუთრება არა აქვთ ქიზიყში და მეორედ მეტის-მეტად გაზვიადებულია. დესეტინა ცალიერ მამულის ფასი ქიზიყში არ აღემატება 60 მანათს, მაშასადამე $1\frac{1}{2}$ დესეტინა ამ ანგარიშით ღირს სულ 90 მანათი. საჭიროა ვიკითხოთ, რა დასამტკიცებელი საბუთი შეუძლიან წარუდგინოს რჩევამ მთავრობას, რომ მართლა მან ეს მამული იყიდა გლეხებისაგან? ხომ ამ მამულის ყიდვის ქაღალდს ნოტარიუსი არ დაამტკიცებს, ხოლო შინაურულად შემოწმებულს ქაღალდს მთავრობა, როგორც სახელმწიფო დაწესებულება, რასაკვირველია, არასოდეს არ მიიღებს.

არც სხვა მხრივ წარმოადგენს ფანიანის ადგილი სანატრელს სადგომს სკოლისათვის. იგი არის ჩავარდნილი ფერდობი ადგილი, რომლის გამოსწორება მოითხოვს დიდს ხარჯს; ფოტორო, შეხუთვილი, ცხელი ჰაერი და ჰავა წარმოადგენს ხელის შემწყობ ნიადაგს და პირობებს ყოველგვარის გადამდებ ავადმყოფობისათვის, რომელიც მუდმივ მძვინვარებს ამ უფსკრულში. ამის გარდა, ამ ადგილში საშინელი ნიაღვრები იცის, რომელთაც არა ერთხელ დაურჩვიათ კამეჩებიც-კი. ხევის წყალი აქცევს მამულს და მოვა დრო, როდესაც სრულიად გაანადგურებს კიდეც. სამეურნეო განყოფილებისათვისაც ეს ადგილი გამოუსადეგარია, რადგანაც ღვინო ამ ხეობისა დაბალის ხარისხის დგება; ფუტკრის მოშენებას უშლის აგურხანების ბოლი და სუნი, ხოლო ფერმის გამართვა შეუძლებელია უსაძოვრობისა გამო.

ამნაირად სკოლის საქმის მოთავეთ საკუთარის ხელით გამოსჭრეს ყელი თავისს პირმშო შვილს, დაჰკრეს წერაქვი, დაანგრიეს და დაფუშეს შენობა, რომლის აგებას სრული ორი წელიწადი მოუნდა მთელი გუნდი უანგარო მუშაკთა და რომლისათვისაც ცოტა ოფლი არ მოიწურეს. საკვირველ არიან საქმენი შენნი უფალო! რას არა ჰნახავს კაცი!

დამსწრე

რუსეთი

— გლეხთა დებულების განმხილველი კომისია ოქტომბრის დამლევს კილავ დაიწყებს მუშაობასა და, როგორც ხმა ისმის, მომავალის წლის მარტში სრულიად გაათავებს სამუშაოს.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა სამინისტრო უკვე ათავებს თურმე პროექტის შემუშავებას იმის შესახებ, თუ ვაჭრობაში სახმარ საზომსა და სასწორზედ რა მეთვალყურეობა იქონიონ. პროექტი შემუშავებულია იმ ცნობებისა და მასალის მიხედვით, რომელიც სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტმენტის დირექტორის ვ. ვ. კოვალევსკის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ შეჰკრიბა წარსულს შემოდგომაზედ. პროექტი სახელმწიფო საბჭოს შემოდგომაზედ წარედგინება.

— მოსკოვის გაზ. „რუსკია ვედომოსტი“-ს მესამე რედაქტორად მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ორდინარ. პროფესსორი, სტატ. სოვეტნ. ანუჩინი დაუმტკიცებიათ.

— ამ ჟამად განზრახვა აქვთ საბეითალო ინსტიტუტების პროგრამმა რაც შეიძლება გაადიდონ და მთელს საბეითალო სწავლას უფრო ვრცელი პრაქტიკული, დემონსტრატიული ხასიათი მისცენ. გარდა ამისა, ბეითალობის ცოდნის გასავრცელებლად საბეითალო ინსტიტუტებში დღეის შემდეგ ყველა საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულებს მიიღებენ, სხვათა შორის, სემინარიელებსაც.

— ამ სამის წლის წინად მომხდარ სამეურნეო, საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კრებაზედ გამოთქმულ იქმნა სურვილი, რომ კარგი იქნება რძის მოვლის სპეციალურად შესასწავლად უმაღლესი სასწავლებელი იქმნას დაარსებულიო. ახლა სამეურნეო დეპარტამენტს უკვე განუზრახავს ასეთის უმაღლესის სასწავლებლის დაარსება და პროექტის შემუშავებასაც შესდგომია.

— სამეურნეო სამინისტროს განუზრახავს რუსეთის სვია ყოველ წლივ გაასინჯოს ხოლმე სპეციალისტებს და საგანგებოდ ამ საგნისათვის კრედიტი გადასდოს, რომ საუკეთესო სვიის მომყვანი პრემია (საჩუქარი) მისცეს ხოლმე.

— საერო განათლების სამინისტროს ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ სამინისტროს საშუალო და მდაბალს სასწავლებლებში 1-ლ მაისში შესწყვიტონ ხოლმე სწავლა და 1-ლ სექტემბერში დაიწყონ უთუოდ მომავალის წლისათვის მეცადინეობა.

უცხოეთი

ავსტრი-უნგრეთი. ამ დღეებში ქ. ბუდაპეშტს კრება ჰქონიათ სლოვაკების, სერბიელების და რუმინების თორმეტს წარმომადგენელს. მოლაპარაკება ორი დღე გაგრძელდა თურმე და შეეხებოდა ეროვნულ პროგრამის განხორციელებას, რომელიც 1895 წლის კონგრესზე იქმნა გარდაწყვეტილი. წარმომადგენელთ ერთხმად გადასწყვიტეს, შეერთებულის ძალით გაუწიონ ბრძოლა მადიართა, რომელნიც ყოველ ღონესა ხმარობენ შეზღუდონ ავსტრი უნგრეთის სხვა ერთა თავისუფლება. შემდეგ კომიტეტმა, რადგანაც ზოგიერთა ერის წარმომადგენელნი კრებას არ დასწრებიან, გადასწყვიტა შემოდგომაზედ ახალი კონგრესი მოახდინოს, რომელზედაც შემუშავებული იქმნება საერთო მოქმედების პროგრამა. ამავე კრებაზე წარმომადგენელნი შეადგენენ თხოვნას, რომელშიაც დაწვრილებით მოხსენებული იქმნება ყოველივე მათი სურვილი და იმპერატორს მიართმევენ. საერთოდ წარმომადგენელთ ის აზრი გამოსთქვეს, რომ საჭიროა ავსტრი უნგრეთის აწინდელი წეს-წყობილება შეცვლილ იქმნას და ნაცვლად ამისა ფედერატული (მოკავშირე) სახელმწიფო დაარსდეს, რომელშიაც ყველა ერს თვითმართველობის და გამგეობის უფლებანი მიენიჭება.

საბერძნეთი. კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, რომ ტრიკალის მაჰმადიანებს, ქრისტიანებს და ურიებს, რიცხვით 11,000 კაცს, ტელეგრამა გაუგზავნიათ ოსმალეთის დიდ ვეზირისათვის, რომელშიაც საბერძნეთის წინააღმდეგ უკმაყოფილებას აცხადებენ თურმე. რაც ტრიკალი საბერძნეთს გადაეცა, ნათქვამია ტელეგრამაში, ჩვენ ქვეყანაში უწესოება და ძარცვა-გლეჯა არ მოსპობილა. განსაკუთრებით ამ ბოლოს დროს ციხეებიდგან გამოშვებულ ტუსაღებმა ერთიანად აგვიკლეს და აგვაწიოკესო. მხოლოდ სულთანის ჯარმა დაგვიხსნა ამ უბედურებისაგან და ცოტაოდნად მშვიდობიანობა ჩამოაგდო ჩვენს ქვეყანაში. ბოლოს ისინი სთხოვენ, ჩვენი ქვეყანა ოსმალეთის სახელმწიფოს შეუერთედო“.

ამავე დროს ათინიდგან სწერენ ,,Neve Fr. Presse“-ს: ,,ლარისაში ოსმალებმა რამდენიმე კაცი დააპატიმრეს და მათ შორის ერთი დეპუტატიც, იმიტომ, რომ ისინი ურჩევდნენ თესალიისმცხოვრებლებს—ხელს ნუ მოაწერთ ოსმალეთთან შეერთების ქაღალდზეო. საბერძნეთის მთავრობამ სთხოვა გერმანიის ელჩს, რომ მან გაანთავისუფლებინოს დაპატიმრებულნი“.

◆

გილი ერგებოდა, იქ უნდა ეჭირა თევზი. მეთევზე ხალხს შეეცილნენ გარეშენი, რომელნიც სრულიად არ მისდევენ თევზის მრეწველობას. ეს უკანასკნელნი ჰყიდულობდნენ ბილეთს და აგდებდნენ კენჭში. თუ კარგი ადგილი შეჰხვდებოდათ, რასაკვირველია, თითონ ვერ დაიჭერდნენ თევზს, რადგანაც ამისათვის საჭირო იარაღები არა ჰქონდათ, და მიჰყიდდნენ ისევ თევზის მწარმოებელს კარგ ფასად. ამგვარად ორას-სამას თუმანს იგებდნენ ხელად ეს გარედგან მოსულნი, თითონ მეთევზეები-კი, რომელნიც მუდამ აქა სცხოვრობენ და იტანჯებიან ლუკმა პურის მოსაპოვებლად, ხელ-ცარიელნი რჩებოდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია უკმაყოფილება მეთევზეთა შორის. მათ მიჰმართეს უმაღლეს მთავრობას თხოვნით, რომ გარეშეთათვის კენჭში ჩარევის ნება აღარ მიეცათ. სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიწყნარა თხოვნა და 1897 წლის თებერვლიდან აუკრძალა გარეშეთ კენჭში ჩარევა.

ზღვის სამრეწველოებზედ მცხოვრები ხალხი შეიძლება გავყოთ სამ ჯგუფად: 1) დიდრონის თევზის მწარმოებელნი, რომელთაც ფულის მეოხებით ყოველ-გვარი საჭირო იარაღი და მასალა თევზის მრეწველობისა აქვთ; ესენი თითონვე ამარილებენ და აკეთებენ თევზ-ხიზილალას და ისე ასაღებენ. ამისათვის, რასაკვირველია, მუშები ჰყავთ. ამგვარნი თევზის-მწარმოებელნი არიან მაგალითად: პაპოვი, ისტამანოვი, ალმაზოვი, ისახანოვი, ძეველიშვილი (ერთად-ერთი ქართველია), აბაზოვი, სარუხანოვი, საფაროვი, სტეფანოვი და სხ. 2.) მეთევზენი ანუ თევზისმჭერელნი. ესენი თითონ არ აკეთებენ თევზს, მხოლოდ იჭერენ მუშებით და პირ და პირ თევზის-მწარმოებელს აძლევენ გადაწყვეტილ ფასად. მეთევზენი ორგვარნი არიან: თავისუფალნი და დამოკიდებულნი. დამოკიდებულის მეთევზეს თავისი თანხა არა აქვს. იგი ყველაფერს (თევზის საჭერი იარაღი, საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი და სხ. რაც დასჭირდება ცხოვრებაში) თევზის მწარმოებელ კაპიტალისტისაგან იღებს. ამასთანავე წერილობითის პირობით ეკვრის უკანასკნელს, რომ იგი მოვალეა, რაც თევზი დაიჭიროს, იმას—თევზის მწარმოებელ კაპიტალისტს მისცეს დანახარჯში ამა-და-ამ ფასად. კაპიტალისტი, რასაკვირველია, სცდილობს, რაც შეიძლება ძვირად მისცეს მასალა, მხოლოდ მეთევზესაგან თევზი აიღოს იაფად. ამგვარი გარემოებაა იმის მიზეზი, რომ მეთევზე დიდხანს რჩება თევზის-მწარმოებელ კაპიტალისტის ყმად. აძლევს თევზს, მაგრამ მაინც კიდევ ვერ შეუყენებია იმ მასალის ფასი, რაც მას წამოუღია და ამ გვარად ყოველ წლივ ისევ ვალში რჩება. თავსაც ვერ დაანებებს კაპიტალისტს იმისთვის, რომ ფული არა აქვს ერთბაშად მოიშოროს მისი ვალი და განთავისუფლდეს. ვიდრე თევზის მწარმოებელ კაპიტლისტის ვალი კისერზედ აწევს, იმას უნდა ძლიოს თევზი და მისაგან უნდაა წამოიღოს ყოველივე მასალა. მაგრამ მეორეს მხრივ ეს მეთევზენიც უშვრებიან ხოლმე ოინს თევზის მწარმოებელ კაპიტალისტს: წამოიღებენ მისგან მასალას და შემდეგ უარს ეუბნებიან თევზის მიცემისას. კაპიტალისტი რას გამოართმევს, რაც არა აქვს რა, თუმცა სასამართლოშიაც გადადის ეს საქმე. თავისუფალი მეთევზე უფრო უკეთეს გარემოებაშია. იგი ეკონომიურად როდია დამოკიდებული თევზის-მწარმოებელ კაპიტალისტისაგან. მას თავისი საკუთარი თევზის-საჭერი იარაღები აქვს; იჭერს თევზს და სადაც სარფაა, იქ ასაღებს ნაღდ ფულად; შემდეგ ამ ფულით სადაც უნდა, იქა ჰყიდულობს ყველაფერს, რაც მისთვის საჭიროა ცხოვრებაში. 3) თევზის მჭერელი მუშა. ამას თავისი არაფერი არა აქვს რა. იგი მხოლოდ ჯამაგირით მუშაობს ან თევზის მწარმოებელ კაპიტალისტთან, ან ისე მეთევზეებთან და ამ გვარად არჩენს თავის თავსაცა და ცოლ-შვილსაც, თუ ჰყავს.

როგორც ზღვასა, ისე მტკვარზედ თევზის მყიდველები მოდიან სხვა-და-სხვა მხრიდგან და სხვა-და-სხვა ეროვნებისანი; მოდიან რუსები, სომხები, ებრაელები, ქართველები. აქაური თევზი-ხიზილალა მიდის ტფილისში, ასტრახანში, რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში და საზღვარ-გარედ. უწინ თევზი უფრო იაფი იყო, ვიდრე ეხლაა და ამის მიზეზი, მე მგონია, ბევრნაირი უნდა იყოს. წინად გზა არა ჰქონდა აქაურს თევზს; უგზოობისა გამო თევზის მუშტარი არავინ მოდიოდა აქ. ძალაუნებურად ან უნდა გადაეყარათ თევზი, ან ნახევარ ფასად გაეყიდათ. ეხლა-კი, როდესაც რკინის გზები დაიმართა და მისვლა მოსვლა გაადვილდა, მოაწყდა აუარებელი თევზის მყიდველი და თითქოს ცილაობას უწევენ ერთმანეთს; თევზის-მწარმოებელი, რასაკვირველია, მოუმატებს ფასს, როდესაც ჰხედავს, რომ მისი საქონელი არ დარჩება, მუშტარი ბევრია, ან აქვე მიჰყიდის თევზის-მყიდველს, ან თითონვე გაჰგზავნის რომელსამე ქალაქში გასასაღებლად. გარდა ამისა ეხლა თევზის-მწარმოებელს მეტი ხარჯი აქვს, ვიდრე უწინ ჰქონდა. რაც დრო გადის, საიჯარო ფასი მატულობს და იმოდენა თავისუფლებაც აღარა აქვთ თევზის ჭერაში, როგორც უწინ. ერთს დროს, მაგალითად, მტკვრის გადაღობვის ნება ჰქონდათ და ამგვარად, რასაკვირველია, ბლომა თევზს იჭერდნენ. ეხლა კი სასტიკად აღკრძალულია ამ გვარად თევზის ჭერა. უეჭველია, ნაკლების ხარჯისა და ბლომა თევზისა გამო თევზის-მწარმოებელი იაფად გაჰყიდდა თავისს თევზს *).

ე. შილდელი

---

*) ამ წერილში მოყვანილი ცნობები თევზის მრეწველობის შესახებ, ზოგი ჩვენ შევკრიბეთ ალაგობრივ და ზოგიც ვისარგებლეთ შემდეგის წიგნებიდგან: ა) Беръ. „Изслѣдованія о состояніи рыболовства въ Россіи“, т. II. ბ) Вешняковъ. Рыболовство и законодательство. გ) „Вѣстникъ рыбопромышленности“, 1894 წ. № 11.

დამაკვირდი

რაც ბუნების წინააღმდეგია, ის ღვთის წინააღმდეგიც არის.

ჰებბელი

* * *

ცოტა ფილოსოფია გვაშორებს სარწმუნოებას; ბევრი ფილოსოფია კი იმასთანავე გვაახლოვებს.

ბაკო

* * *

მოწყალება და სამართლიანობა—ყველაზედ ძვირფასნი თვალნი არიან მეფის გვირგვინისანი.

არაბ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ქრისტიანობის პირველსა და მეორე საუკუნეში განსვენებულთა გვამებს კი არ ასაფლავებდნენ, სწვამდნენო და მხოლო შემდეგ დაიწყეს დასაფლავებაო. გვამის დაწვა ხელმეორედ შემოიღეს ეხლა მე-XIX საუკუნეში. ამ ჟამად გვამის საწვავი ანუ ეგრედ წოდებული საკრემაციო ღუმელები ევროპის ბევრს ქალაქშია გამართული. ყველაზედ უფრო მეტად გვამის დაწვა მოსწონთ ინგლისში. 1884 წელს უოკინში გაიმართა პირველი საკრემაციო ღუმელი. 1885 წელს დასწვეს ერთი გვამი და შემდეგ წლებში: 10, 13, 23, 46, 54, 99, 104, 125.—1895 წელს დასწვეს 150 გვამი; შარშან—137. მთელს ინგლისში ამ ჟამად არის ოთხი ღუმელი განსვენებულთა გვამების დასაწვავად. 1896 წელს დასწვეს სულ 202 გვამი. ხშირად გაიგონებთ ხოლმე, რომ ინგლისში ვინმემ ანდერძი დასტოვა, ჩემი გვამი კი არ დაასაფლავოთ, დასწვითო.

* * *

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ახალ ზელანდიაში ქალებს მიენიჭათ ყოველ გვარი საარჩევნო და საპოლიტიკო უფლებანი. მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ქალებმა საკეთილოდ გამოიყენეს ეს უფლებანი. უწინ რომელ სახლშიაც უნდა შესულიყო კაცი, ყველგან მხოლოდ ახალ კაბებზედ, მოდაზედ და ჭორებზედ ესმოდა ლაპარაკი. მას შემდეგ, რაც ქალებს ზემოხსენებული უფლებანი მიენიჭათ, ყველგან მხოლოდ ქალებს საპოლიტიკო და საზოგადო საქმეებზედა აქვთ სჯა-ბაასი. ეს უფლებანი მიანიჭეს ქალებს კონსერვატორებმა, რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ ქალები ჩვენი მომხრენი იქმნებიანო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ქალები ლიბერალთა დასს მიემხრნენ.

* * *

ჩინეთში დიდის ამბით დღესასწაულობენ ეგრედ წოდებულ გაზაფხულის დღესასწაულს. ეს დღესასწაული აპრილის დამდეგს მოდის, თითქმის იმავე დროს, როცა ქრისტიანები აღდგომას დღესასწაულობენ. ჩინელები ამ დღეს ცეცხლს არ ანთებენ. ეს ჩვეულება ჩინელებსა ჰქონია ჯერ ისევ ჩეუს სამეფო გვარეულობის მეფობის დროსა (1122 წლიდგან 258 წლამდე ქრისტეს დაბადებამდე). ამ დღესასწაულის დღეს საგანგებოდ დანიშნული კაცები დადიან ქუჩა-ქუჩა და ზარსა რეკავენ. ეს იმის ნიშანია, რომ დღესასწაული დადგა და ცეცხლი ჩააქრეთო. დღესასწაული სამ დღეს არის ხოლმე და, რადგანაც სიჰმელის მოხარშვა აკრძალულია, ამიტომ ჩინელები ამ დღესასწაულებში უფრო კვერცხსა ჰხმარობენ საჰმელად და ერთმანერთს უგზავნიან კიდეც. მეშვიდე საუკუნიდგან (ქრისტეს დაბადებამდე) ერთს წარჩინებულს კაცს წითლად შეუღებია კვერცხები და ისე დაუგზავნია ნაცნობებისთვის. მას აქედ მთელს ჩინეთში ჩვეულებად არის კვერცხის შეღება.

* * *

ჩრდილო ამერიკის ერთს შტატში ერთი ქალაქია, სახელად Aliceton. ამ ქალაქში 100 კაცია მცხოვრები. ქალაქში არის ფოსტა, კარგა დიდი ქარხანა ყველისა, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ აქ არც ერთი ქალი არა სცხოვრობს. დიდი ხანი არ არის, რაც ეს ქალაქი დაარსდა. აქაური მცხოვრებნი თურმე ძლიერ ახირებული ხალხია. ქალები სძულთ და ქალაქში არ აცხოვრებენ. ბევრჯელ გავრცელებულა ხმა, ამ ქალაქში ვიღაც ქალი აპირებს მოსვლასაო, მაგრამ მცხოვრებნი მაშინვე ძლიერ აღელვებულან და ყოველ გვარი საშუალება უხმარიათ, რომ ქალები არ შეეშვათ თავიანთ ქალაქში.

ახალი წიგნი

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „ისტორია აღმოსავლეთისა“ ივ. გომართელისა, გამოცემა პ. მეფისაშვილისა (ივ. როსტომაშვილის რედაქციით). წიგნი შეიცავს ძალიან მოკლედ ისტორიას კაცობრიობის სამივე ტომისას—კუშიტების, სემიტებისა და არიელებისას და მათ შორის ძველის ეგვიპტის, ფინიკიის, ასურეთის, ბაბილონის, ძველ საქართველოს, ინდოეთის, მიდიის და სპარსეთის ისტორიას. ენა წიგნისა მეტად მარტივი და ადვილ-გასაგებია. საქართველოს შესახებ ცნობებ შორის მოყვანილია ქართველების ძველი ბინადრობა და ცხოვრება მცირე აზიაში, ვანში და ურარტოში (არარატის მხარეს) და მათ ლურსმულ წარწერებს, რომლებიც, მეცნიერების აზრით, ეკუთვნით ჩვენთა წინაპართა. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 15 კაპ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 ივნისი.

კონსტანტინეპოლი. ელჩების უკანასკნელ კითხვაზედ ოსმალეთის მიერ მიცემულს პასუხს დიდი მნიშვნელობა არა აქვს რა: იქ მოხსენებულია მხოლოდ რომ ოსმალეთს ჯერ არ გარდაუწყვეტია, როგორ მოიქცეს მომავალში. სრულიად უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომ მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება მოისპოს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. წარმოთქმულ იქმნა ის აზრი, რომ ბერლინის კონგრესზედ მოლაპარაკების საქმე უფრო კარგად მიდიოდაო. ამაზედ სოლსბერიმ სთქვა, რომ მაშინ საქმეთა ვითარება უფრო საფრთხილო იყო. რუსეთის დიდ ძალი ჯარი კონსტანტინეპოლთან იდგა და თითოეული სიტყვა ბისმარკისა, რომ ეს ჯარი წინ წაიწევსო, ძლიერ აშინებდა ოსმალეთის რწმუნებულთ. ეხლანდელმა მოლაპარაკებამ რომ ამდენ ხანს გასტანა, ეს მხოლოდ ოსმალეთის ბრალია, სხვა სახელმწიფონი ყველაფერში ერთმანერთს ეთანხმებიან. თუ იმასაც გავიხსენებთ, რამდენად განსხვავდება ეხლანდელი ვითარება საქმისა 1878 წლის საქმის ვითარებისაგან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე მშვიდობიანად გათავდება.

პოტსდამი. გრაფი შუვალოვი რუსეთს წავიდა. გრაფი ამ ჟამად კარგად არის.

ათინა. ამბობენ, რომ მოლაპარაკების საქმე შემდეგის პირობებით გათავდება: საბერძნეთმა უნდა გადაიხადოს 4 მილიონი სამხედრო საზღვაური და საზღვრები უნდა შესწორდეს. საბერძნეთის კრედიტორები მზად არიან თურმე გადაიხადონ სამხედრო საზღვაური, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ ხელში გადავიდეს ეხლანდელ მონოპოლიებისაგან შემოსავალი და აგრეთვე შემოსავალი თამბაქოსა და ღერბის ქაღალდებისაგან. გარდა ამისა კრედიტორები თხოულობენ, რომ ზემოხსენებულ შემოსავალთა საქმეს განაგებდეს საგანგებო კომისია, რომელშიაც მათ თვისი სამი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთ:

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის საშუალებით ვაცნობებ განჯის საზოგადოებას, რომ ბ-ნ სოლომონ დოლიძისგან კიევში გამოგზავნილი 40 მანეთი მივიღეთ. ეს ფული დანიშნულებისამებრ უკვე განაწილდა. დიდს მადლობას ვუძღვნით განჯის საზოგადოებას და აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ.

მალაქია ბოლქვაძე

კიევი.

—

15 ივნისს დ. ყვირილაში ბ-ნ ნიკოლოზ ჯორმაღიძის თაოსნობით გაიმართა „სალიტერატურო საღამო“ ადგილობრივ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა; საზოგადოება ბლომად დაესწრო და ყველანი ნასიამოვნები დარჩნენ. წმიდა შემოსავალი 48 მან. დარჩა, რომელიც გადაეცა წიგნთ-საცავის გამგეს. სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მიღებისათვის დიდის მადლობის ღირსნი არიან: ქ-ნნი ნადეჟდა სისორდია, ტ. ჟ—ტი და ბ-ნნი ნ. ჯორმაღიძე, ბ. კელენჯერიძე, კ. მ—ძე, ა. ს—ძე, გ. ჟ—ტი, ს. წ—ლი, ა. ა—ძე და ბ. ულმანი.

ვანო არდიშვილი

—

შარშან ოქტომბრის თვეში ქ. ნოვოროსიისკის ქართველ მუშებს შორის შევაგროვე ას ოც-და-ორი მანეთი ს. ჯვარცმის საზოგადოების მომავალ ორ-კლასიან სკოლის სასარგებლოდ. ეს ფული გაეგზავნა მამასახლისს ამა სოფლისას ბ-ნ თეიმურაზ ჩხიკვაძეს ფოსტით. მას შემდეგ აგერ რვა თვე მიდის და არავითარი ცნობა არ მიგვიღია ბ-ნ ჩხიკვაძისაგან. ამიტომ ვთხოვ გვიპასუხოს: მიიღო ჩვენ მიერ გაგზავნილი ფული თუ არა? და თუ მიიღო, გადასცა დანიშნულებისამებრ სკოლას თუ არა? ამას გარდა, თუ მიღებული აქვს ეს ფული, ვთხოვ შემომწირველთა სახელი და გვარი გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით ეჭვისა და საყვედურის ასაცილებლად.

სილოვან კალანდაძე

განცხადებანი

ნუსხა

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცელთა.

გამოსულია მეორმოცდა პირველ ტირაჟში, რომელიც მოხდა 1897 წ. 31 მაისს იმ გირავნობის ფურცლის №№ დამატებით, რომელნიც წარსულ წლების ტირაჟში გამოვიდნენ, მაგრამ ფულის შემოსატანად არ იყვნენ წარდგენილნი.

გირავნობის ფურცელნი, გამოსულნი მე-41 ტირაჟში.

ექვსპროცენტიანი (6%) ფურცლები
43 წლის და 6 თვის ვადით
1000 მან. ღირსებისა.

5 სერ. № 16.
6 „ „ 15, 16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 25 და 26.
7 „ „ 14, 15 და 16.
უკანასკ. სერ. № 340, 341, 762 და 857.

500 მან. ღირსებისა:

5 სერ. № 44.
6 „ „ 38, 39, 40, 42, 44, 46, 47, 48, 51, 52, 53, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 94, 95, 96, 98, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 108 და 110.
უკანასკნ. სერ. №№ 541, 542, 543, 544, 545, 546.

100 მან. ღირსებისა:

6 სერ. №№ 103, 104, 105, 106, 108, 118, 119, 120, 122, 123, 125, 126, 127, 131, 137, 139, 141, 142, 143, 144, 145, 148, 150, 152, 153, 154, 155, 157, 160, 166, 172, 173, 174, 175, 182, 183, 184, 185, 188, 189, 191, 192, 194, 195, 196, 197, 199, 200, 201, 202, 203, 206, 207 და 208.
7 სერ. №№ 303, 304, 305 და 306.
უკანასკნ. სერ. №№ 1296, 1357, 1475, 1483, 1500 1555, 1556, 1557, 1623 და 1624.

18 წლის და 7 თვის ვადით
1000 მან. ღირსებისა:

6 სერ. № 15.
7 „ №№ 16 და 40.
უკან. სერ „ 287, 288, 289, 290, 925, 983, 1066, 1068, 1069, 1333, 1334, 1335, 1336, 2043, 2044, 2047, 2048, 2344, 2367, 2368, 2369, 2370, 2691, 2692, 2770, 2965, 3057, 3098, 3188, 3189, 3190, 3191, 3201, 3202, 3230, 3265, 3330, 3331, 3352, 3357, 3358, 3359 და 3360.

500 მან. ღირსებისა:

7 სერ. №№ 30, 36 და 50.
უკან. სერ. „ „ 266, 343, 345, 347, 461, 795, 1146, 1147, 1179, 1185, 1229, 1230, 1258, 1259 და 1354.

100 მან. ღირსებისა

7 სერ. №№ 4, 5, 12, 15, 23, 26, 28, 227, 228, 229, 233, 238, 240, 243 და 244.
უკან. სერ. „ „ 1201, 1202, 1203, 1204, 1214, 1215, 1218, 1220, 1469, 1470, 1853, 1865, 1866, 1881, 2558, 2559, 2560, 2561, 2562, 2563, 2564, 2565, 2566, 2567, 2579, 2585, 2586, 2594, 2595, 2733, 2865, 2866, 2867, 2871, 3015, 3016, 3017, 3018, 3019, 3064, 3065.

ხუთ პროცენტიანი (5%) ფურცლები
48 წლით და 8 თვით
1000 მან. ღირსებისა:

1 სერ. №№ 54, 55, 56, 57 და 58.
5 „ „ „ 235, 236, 237 და 238.

500 მან. ღირსებისა:

1 სერ. №№ 59 და 60.
5 „ „ „ 246 და 247.

100 მან. ღირსებისა:

1 სერ. №№ 72, 73, 74 და 75.
3 „ „ „ 362, 363 და 364.
4 „ „ „ 548, 549, 550 და 557.
5 „ „ „ 641, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 656 და 657.

19 წლითა და 11 თვით
1000 მან ღირსებისა:

1 სერ. №№ 83, 84, 85, 86, 87, 88, და 99..
2 „ „ „ 155, 166, 167, 178, 179, 180, 183 და 184.
3 „ „ „ 212, 213, 214, 215, 216, 217, 218 და 227.
4 „ „ „ 337.
5 „ „ „ 399.
6 „ „ „ 414, 415 და 416.
8 „ „ „ 569 და 570.

500 მან. ღირსებისა:

1 სერ. №№ 45, 46, 47, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56. და 57.
2 „ „ „ 136, 142, 144 და 145.
3 „ „ „ 238, 239, 240 და 241.
6 „ „ „ 479.

100 მან. ღირსებისა:

1 სერ. №№ 136, 137, 138, 139, 140, 141, 142 და 143.
2 „ „ „ 397, 398, 399, 400 და 401.
3 „ „ „ 627, 628, 629, 630 და 631.
4 „ „ „ 767 და 768.
5 „ „ „ 814, 815 და 817.
6 „ „ „ 904 და 905.

36 წლით და 4 თვით
500 მან. ღირსებისა:

1 სერ. № 15.
2 „ „ „ 84.
3 „ „ „ 107.

100 მან. ღირსებისა

1 სერ. №№ 38 და 39.
2 „ „ „ 225, 226 და 227.
3 „ „ „ 504, 505, 506 და 507.

ფულის მიღება გირავნობის ფურცლებზედ, რომელნიც ამ ტირაჟში გამოვიდნენ, დაიწყება 1897 წლის 1 ივლისიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქმნება ზემოხსენებულს ფურცლებზედ სარგებლის ძლევა.

დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ღირებულობა იქმნება დაჭერილი.

გირავნობის ფურცლებზედ ფულის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისს, ბანკის კასსაში; შეიძლება აგრეთვე პეტერბურგსა და ვარშავასა ბ-ნის ვაველბერგის საბანკირო სახლში, სახელმწიფო ბანკსა და მისს ყველა განყოფილებათა და კანტორებში.

ამ ნუსხაში ნაჩვენებია ექვს-პროცენტიანი (6%) გირ. ფურცელთა ნომრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული. შემდეგ სერიებში, რვიდგან დაწყებული, სერიების ნომრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები ერთი ერთმანეთს მისდევს და, მაშასადამე, არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა

Дозволено цензурою, Тифлисъ 26 го Юнія 1897 г.

სტამბა ქ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.